



ოქმი N1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2019 წ, 9 იანვარი

ქ. ოზურგეთი

11.00 სათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ.ღურჯუმელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმომქმედ კომისიათა თავმჯდომარეები:ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, ე.გორდელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, დ.მჭავანაძე, ლ.მგელაძე, შ.გოგიბერიძე, ბ.დოლიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.თოიძე, დ.ჭაკნელიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ვ.ჩიგოგიძე, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, ვ.ბერიძე, ბ.ქათამაძე, ლ.ნინიძე, პ.კილურაძე, მ.ზოიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, ბ.თოიძე, ლ.კილაძე, ალ.ღლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ.ტულუში, ვლ.ღლონტი, თ.ბურჭულაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-ალ.სურგულაძე.

მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი მუშაკები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, კიდევ ერთხელ მიულოცა შობა-ახალი წელი, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე -45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 33-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას და საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 33- ხმით.

აღნიშნა, რომ როგორც წესი, დღის წესრიგით

გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ გაკეთდება განცხადებები.

დღის წესრიგი

1.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: გია მამაკაიშვილი

გიორგი ჩაგანავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ.ჩაგანავამ განაცხადა, რომ შესაბამისმა კომისიებმა განიხილეს ცვლილებების პროექტი და მხარს უჭერენ მას.

2.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ლელა საჯაია

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ წესიდან ამოღებული იქნა ტერიტორიული შეზღუდვა.

1.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო

ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს წევრმა ბ.თოიძემ განაცხადა, რომ სოფელ მაკვანეთის მცხოვრებლები წინაღმდეგი არიან მაკვანეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, სასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გასხვისების, 200კვ.მ საკადასტრო კოდით: **26. 14. 14. 462.** საკრებულომ მხარი დაუჭირა ამ ნაკვეთის ნუსხიდან ამოღების წინადადებას, მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსმა მ.გორგოშიძემ განაცხადა, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას მერიას მომართა მოქალაქემ განცხადებით, რომ ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 791კვ.მ, საკადასტრო კოდით (**26.01.84.291**) და ასევე, ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთი, 1478 კვ.მ საკადასტრო კოდით (**26.01.84.292**) კერძო საკუთრებაშია, საკითხი

დასაზუსტებელია და ითხოვა ამ ნაკვეთების ნუსხიდან ამოღება, საკრებულომ მხარი დაუჭირა ამ წინადადებასაც.

2.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

ამ საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ.მჭავანაძემ იკითხა, რომ გადასაცემი ქონების ნუსხაში რატომ არ არის მინი ტრაქტორი? განუმარტეს, რომ მერიამ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაიტოვა.

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ26.33.23.103) შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 6000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

გოჩა კილაძე

ამ საკითხის განხილვისას აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გ.კილაძემ განაცხადა, რომ კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ნაკვეთის პირობიანი საჯარო აუქციონის წესით განკარგვა, რასაც მოყვა კამათი. ფრაქცია „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისთვის“ თავმჯდომარემ შ.გოგიბერიძემ განაცხადა, რომ ნაკვეთი უნდა გაიცეს პირდაპირი განკარგვის წესით, რადგან პროექტი არაა კომერციული.

საკრებულოს წევრმა თ.ბურჭულაძემ განაცხადა, რომ აუცილებელია ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციები.

ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარემ ლ.მგელაძემ განაცხადა, რომ შესანიშნავი პრეზენტაცია გააკეთა ი.ერქომანიშვილმა, მაგრამ აღმოჩნდა-მოსახლეობა წინააღმდეგია, ფრაქციის წინადადებასა საერთოდ არ გაიცეს ეს ნაკვეთი, თავად მერიამ შემოღობოს და უპატრონოს ამ უნიკალურ ტერიტორიას.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ.მჭავანაძემ განაცხადა, რომ ფრაქციის აზრით, ნაკვეთი უნდა გაიცეს საჯარო პირობიანი აუქციონით, სარგებლობის უფლებით ან დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ლ.ბიგვაკას აზრით, პირდაპირი განკარგვის წესით ქონების გასხვისება ყოველთვის არაა გამართლებული, ესაა არამატერიალური სფერო და უნდა გაიცეს პირობიანი აუქციონით. საკითხი დადგა კენჭისყრაზე-პირობიანი საჯარო აუქციონით სარგებლობის უფლებით გაცემას მხარი დაუჭირა 28 საკრებულოს წევრმა, წინააღმდეგი იყო 5. საბოლოოდ

საკრებულომ არ დაამტკიცა განკარგულება და რეკომენდაცია მისცა მუნიციპალიტეტის მერიას წარმოადგონოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი.

3.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ26.26.01.367.01/502) ქალაქ ოზურგეთში გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3 მდებარე 65.90 კვ.მ. უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

3.7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-თ გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ტიპიური ფორმებისა და მათი აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ლაშა თავაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

4.8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

4.9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ-გ.დურჯუმელიძემ განაცხადა, რომ რეგლამენტში ცვლილება განაპირობა კანონმდებლობის ცვლილებამ და კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედებამ.

5.10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე და ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მდებარე მოედნებსა და ქუჩებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოლისას გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 აპრილის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

თანამომხსენებელმა ლ.ბიგვავამ განმარტა, რომ დადგენილებაში ცვლილება განაპირობა კანონმდებლობის ცვლილებამ.

6.11. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების – ძაღლის და კატის ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 აპრილის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

თანამომხსენებელმა ლ.ბიგვავამ განმარტა, რომ აქაც დადგენილებაში ცვლილება განაპირობა კანონმდებლობის ცვლილებამ.

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

